სიტყვა ახალგაზრდებისაა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 2 მაისი.

"დინამო" (თბილისი) – "შახტიორი" (დონეცკი) 2:2 (0:2).

"დინამო": გაბელია, ანდღულაძე, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი (კაკილაშვილი), მუჯირი, დარასელია, სვანაძე, თავაძე, ჟვანია, ცავა, ჩელებაძე (მესხი).

"შახტიორი": დეგტიარევი (ნიკიტინი), ვარნავსკი, გორბუნოვი, პოკიდინი, პიანიხი (პეტროვი), რუდაკოვი, როგოვსკი, კუცევი, აკიმენკო, სოპკო, იურჩენკო.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ვარნავსკი, მესხი.

დუბლიორები - 1:0 (ბურთი გაიტანა არზიანმა).

ძნელია 2 მაისის თბილისის "დინამოს" შემადგენლობას მიახლოებით მაინც უწოდო ძირითადი, არ თამაშობდნენ ტრავმირებული ყიფიანი და გუცაევი, სსრ კავშირის ნაკრებში გაიწვიეს ჩივაძე, სულაქველიძე და შენგელია, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრებიდან ის-ის იყო დაბრუნდნენ კაკილაშვილი და ცავა, ამიტომ გუნდის მწვრთნელები და თვით ფეხბურთელები რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ. ფაქტიურად საჭირო შეიქმნა გუნდის ხელახალი დაკომპლექტება, ახალი ურთიერთკავშირების გამოძებნა და შეთამაშება. მართალია, ჩვენი მეტოქე დონეცკის "შახტიორი" წლეულს არაფრით გამოირჩევა და გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეცაა, მაგრამ ასეთი "აუტსაიდერები" ხშირად ძალზე სახიფათონი არიან და შესაძლებელი მაქსიმუმის ზღვარზე თამაშობენ ხოლმე, მით უმეტეს, თუ მოპირდაპირე მხარე ასე შესუსტებულია.

ასე მოხდა ამჯერადაც: თბილისელებმა იერიშით დაიწყეს თამაში და საფუძვლიანად აპირებდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე "გადასახლებას", რომ როგოვსკიმ და კუცევმა მოულოდნელად სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და კუცევმა ოდნავ ააცილა კარს ბურთი, გავიდა მცირე ხანი და დონეცკელებმა კვლავ განახორციელეს თავიანთი ეს "მოულოდნელი" კონტრშეტევა, - ამჯერად კარის წინ აღმოჩნდა როგოვსკი, ბურთი კვლავ ოდნავ აცდა მიზანს.

ერთი სიტყვით, ეს იყო "შახტიორის" არა მოულოდნელი და შემთხვევითი საპასუხო იერიშები, არამედ დაგეგმილი მანევრი, რომელსაც გუნდი მთელი ტაიმის მანძილზე რეგულარულად და წარმატებით ასრულებდა. საერთო უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ, საგოლე მომენტებს კი დონეცკელები ქმნიდნენ. ასეთი სიტუაცია რამდენიმეჯერ ზედიზედ გამეორდა და მე-15 წუთზე სტუმრებმა საწადელსაც მიაღწიეს: ვარნავსკიმ შორი მანძილიდან დაარტყა, გაბელიამ მოიგერია ბურთი და მას ყველაზე ადრე მიუსწრო როგოვსკიმ - 0:1.

შემდგომი გარკვეული დროის მანძილზე ზემოხსენებული როგოვსკისა და კუცევის გარდა ძალზე აქტიურად ითამაშა იურჩენკომ და ამ სამეულის წინააღმდეგ ბრძოლა, პირდაპირ უნდა ითქვას, ურთულესი პრობლემა გამოდგა თბილისელთა დაცვისთვის. ცალკეულ სიტუაციებში ჩვენი მცველები ერთმანეთთან ვერ ამყარებდნენ საჭირო კონტაქტს, უმეთვალყურეოდ ტოვებდნენ მეტოქე გუნდის ფორვარდებს. ამის შედეგი იყო, რომ 32-ე წუთზე დონეცკელებმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს კომბინაცია და ბურთი ჩააწოდეს კარის წინ. აქ დინამოელთა რამდენიმე მცველმა ვერაფერი იღონა საიმისოდ, რომ ხელი შეეშალა იურჩენკოსთვის, რომელმაც მაღალი ნახტომით ბურთი თავით გაგზავნა შორეულ კუთხეში - 0:2.

ერთი სიტყვით, თბილისელებს პირველ ტაიმში აშკარად არ გამოუვიდათ თამაში, ისინი დასჯერდნენ მარტოოდენ ტერიტორიულ უპირატესობას, თავდამსხმელები რეალურს ვერაფერს ქმნიდნენ წინა ხაზზე, ხოლო ნახევარმცველები და მცველები საშუალებას აძლევდნენ მეტოქეს სისტემატურად განეხორციელებინათ სწრაფი კონტრიერიშები.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა შესვენების შემდეგ და ამაში გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ახალგაზრდებმა, უპირველეს ყოვლისა - მესხმა. გარკვეული გადაადგილებანი მოხდა ჩვენი გუნდის დაცვაში, იურჩენკოს პერსონალურად მიუჩინეს მუჯირი, თავაძემ შუა ხაზიდან დაიწია მარცხენა მცველის ადგილზე, უფრო ყურადღებიანად ამოქმედდნენ ცენტრალური მცველები, ხოლო წინა ხაზზე, შეტევაში, საუკეთესოდ ითამაშა მესხმა. ის, რაც ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა გააკეთა, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მარცხენა გარემარბის ვიწრო ფუნქციების თვალსაზრისით. პირველი 10 წუთის განმავლობაში მესხმა დრიბლინგით ზედიზედ ოთხი სწრაფი გარღვევა განახორციელა და სრული დეზორგანიზაცია შეიტანა "შახტიორის" დაცვის რიგებში. მესხის ნეიტრალიზებისთვის სტუმრების მცველები იძულებული იყვნენ გაძლიერებული აქცენტი გადაეტანათ მარჯვნივ, მაშინ

მესხმა რამდენიმე მომენტი შეარჩია და როცა დაუცველი იყო ცენტრალური ზონა სტუმართა კარის წინ, იქ გადააწოდა ბურთი. ერთ-ერთ ასეთ მომენტში, 55-ე წუთზე, მის გადაცემას ადგილზე დახვდა ცავა - 1:2.

ვერ ვიტყვით, რომ მეორე ტაიმში ყველაფერი უკლებლივ დინამოელთა სცენარით მიმდინარეობდა. დონეცკელები კვლავ ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი შემტევი სამეული, მაგრამ გუნდს ადრინდელი მანევრები სულ უფრო და უფრო უჭირდა, თბილისელები უმეტესად განუწყვეტელ იერიშზე იმყოფებოდნენ ხოლმე.

მეორე საპასუხო ბურთის გატანას საკმარისზე მეტი დრო დასჭირდა. მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი, ჟვანია მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, სადაც ერთ-ერთმა მცველმა მის წინააღმდეგ წესების აშკარად დარღვევით ითამაშა. პანალტი ეჭვს არ იწვევდა და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა იგი. თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა მესხმა - 2:2.

ფრე გათამაშების აუტსაიდერთან - დონეცკის "შახტიორთან", ისიც შინ, თავისთავად ვერაფერი სახარბიელო შედეგია, მაგრამ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ყოველივე, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ამასთან კვლავ გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ დამარცხების თავიდან აცილებაში დიდი წვლილი მიუძღვით ახალგაზრდა ფეხბურთელებს. რახან საქმე ახალგაზრდებზე მიდგა და ისინი ამართლებენ ჩვენს იმედებს, ეს საფუძველს გვაძლევს იმედიანად შევხედოთ მომავალს.

ბ. ქორქია.
"ლელო", 4 მაისი, 1982 წ.